

ანთროპოტოპონიმები სპერიდან¹

ფაღავა მამია

mamia.paghava@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბარამიძე მაია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

maia.baramidze@bsu.edu.ge

ანოტაცია. სპერი ისტორიული ქართული კუთხეა, გაშენებული ჭოროხის სათავეებში. აღვნიშნავთ, რომ 1514 წლიდან იგი ჩამოშორდა (ჩამოაშორეს) ქართულ სახელმწიფოს და ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. ამ დროიდან ხუთ საუკუნეზე მეტი გავიდა, ხუთი საუკუნე გრძელდება სპერის ასიმილაცია, პროცესი შორსაა წასული... აღვნიშნავთ, რომ სპერში ქართული აღარ ისმის (სხვაგვარად, სპერელებმა დაივიწყეს წინაპართა ენა), ქართველი კაცის ნაკვალევს ვეძებთ სპერის ეთნოლოგიაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, სპერელთა თურქულ ფოლკლორში და ტოპონიმიაში.

ძველი საქართველოს მკვლევრები სპერში მოიაზრებენ ბაიბურთსა და ბასიანსაც (ფასიანს).

ტოპონიმია „მიწის ენა“, იგი ინახავს ინფორმაციას აქ მცხოვრები ხალხის, მათი სამეურნეო ყოფისა და, ზოგადად, საქმიანობის, ასევე მცენარეთა საფარის შესახებ...

წინამდებარე გამოკვლევაში ვსაუბრობთ ანთროპოტოპონიმებზე სპერიდან, კერძოდ, მისი ერთი კუთხის, ბასიანის ტოპონიმიდან². დგინდება, რომ ბასიანში, ზოგადად სპერში, ტოპონიმთა ერთი ნაწილი სახლის სახელებს//მეტსახელ გვარებს უკავშირდება და ისევე იწარმოება როგორც ტაოში, კლარჯეთში, შავშეთში, აჭარასა და ლაზეთში, მეტიც შეიძლება ითქვას, ტოპონიმის ფორმაწარმოება მისდევს საერთოქართულ მოდელს. მხედველობაში გვაქვს ადამიანის საკუთარ სახელს დართული -ნ' სუფიქსი (აბდიკა-ნ'ი, სურბეხა-ნ'ი...), ანდაც -ის' სუფიქსიანი წარმოება... გადარჩენილი და დღემდე მოღწეული ყველა ტოპონიმი ძვირფასია მკვლევრისათვის, მათს გამოწვლილვით ანალიზს მივყავართ საქართველოს ასიმილირებული კუთხის, სპერის, ისტორიული სურათის აღდგენამდე. ვფიქრობთ, მთავარი კონტურები მაინც მოიხაზება.

რაც მეტს ვიკვლევთ სპერს, ვრწმუნდებით, რომ იგი ქართული ქვეყანაა, თუმცა სხვებიც ჩემულობენ მას.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, აფიქსი, ქვეყანა, სახლის სახელი, ანთროპოტოპონიმი.

¹ ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - „სპერი, - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

² ბასიანის გეოგრაფიული სახელების ნაწილი ჩვენ შევკრიბეთ საველე ექსპედიციების დროს, ნაწილიც ამოვკრიბეთ წიგნიდან: „ბასიანი, კულტურის ძეგლების კატალოგი“ (ბასიანი, 2024:188-194). კატალოგი მოამზადეს „საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის“ თანამშრომლებმა: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. არონიშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოლუაშვილმა, დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე). ავტორები გვთავაზობენ ამა თუ იმ ძეგლის განთავსების ადგილის როგორც ძველ, ისე თანამედროვე (1959 წლის რეფორმის შემდგომდროინდელ) სახელს. ყურადღების მიღმა არ ტოვებენ არც ძველი სახელის ვარიანტებს, რაც კვლევისათვის მნიშვნელოვანია.

სტრუქტურულად ბასიანის ტოპონიმები მარტივი სახელებია, უმეტესად სუფიქსებით ნაწარმოები. მნიშვნელოვანია, რომ დროთა განმავლობაში გეოგრაფიულ სახელებს ფორმა უცვლიათ; ფორმაცვალეობა ხდება ჩაწერის დროსაც, ინფორმატორი სწორად ვერ გამოთქვამს ახლა უკვე მისთვის უცხო სიტყვებს... ვცდილობთ, აღვადგინოთ სახელის ძველი ფორმა და ისე ვიმსჯელოთ. როდესაც ანთროპოტოპონიმებზე ვსაუბრობთ, თითქმის საქმეს აიოლებს ის, რომ ტოპონიმის ფუძე საკუთარი სახელია, მაგრამ ჩნდება სხვა დაბრკოლებაც, ქართულ ანთროპონიმთა მეტ-ნაკლებად სრული ლექსიკონის არარსებობა... არის სხვა წინააღმდეგობაც, განსაკუთრებით ტოპონიმზე „ზეწოლის“ შემთხვევები, როდესაც შეგნებულად უცვლიან ტოპონიმს ფორმას, რომ სხვად აქციონ იგი. კვლევისას ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსჯელობა სწორად წარიმართოს. აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად რამდენიმე საუკუნის დამორებისა, სპერის ტოპონიმია ინარჩუნებს ფორმაწარმოების ქართულ/ქართველურ მოდელს, რაც მნიშვნელოვანია.

დავიწყოთ ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზით:

გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი მომდინარეობს სახლის სახელისაგან და აღნიშნავს კონკრეტული ოჯახის საცხოვრისს, კუთვნილ მიწას, სადაც დიდი ოჯახის განაყოფები ცხოვრობენ და ქმნის სოფლის უბანს, ზოგჯერ მთელ სოფელს. სახლის სახელს, მეტსახელ გვარს ფუძედ სახლის უფროსის სახელი აქვს.

ავდოკომე, ახლა ათაქო.

ავდოკომე სთან ერთად ისმის **აბდიკანი**. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო ძველი ფორმაა.

აბდიკანი სეგმენტირდება: **აბდიკა-ნ**’ი.

ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება სახელები: **აბდა, აბდი, აბდია, აბდიკი...** (ლლონტი 1986). ყველა ნასესხებია ებრაულიდან, მაგრამ ადაპტირებულია ქართულ კულტურაში.

აბდიკი აბდიკა’ს ფონეტიკურად მცირედ სახეცვლილი (**აბდიკა>აბდი**’ს), კნინობითი ფორმაა. ტოპონიმს დაუცავს ამოსავალი სახე.

აბდიკა’ს ჩამომავლებია **აბდიკანი**, რომელთა სამოსახლოსაც უწოდეს მათივე სახელი.

აბდიკანი ქართული გეოგრაფიული სახელია, ქართული დიდი ოჯახის სამოსახლოს აღმნიშვნელი.

სურბეჰანი < ***სურბეხან**’ისაგან.

სურბეხანი დაიყოფა: **სურბეხა-ნ**’ი. იქნებ, **სურბეხა**’ში -**ხა** ელემენტიც გამოიყოს.

აღ. ლლონტი ისტორიულ წყაროებში დაადასტურებს ანთროპონიმს **სურაბ**’ (>**სურაბე**?) (ლლონტი 1986).

სურბე/სურბეხა საკუთარი სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს, **სურბეხანი** - **სურბეხას** სახლეულია.

სურბეხანი ტოპონიმად ქცეული „ქოხის სახელია“.

სურბეხანი ქართული ტოპონიმია.

აღუქირანი, ახლა **ჰორასანის** (სჯოზს - ხორასანი) რაიონი.

ძველი სახელია **აღუქირანი** ვარიანტებით: **აკქირანი** და **მეშეჯიკი** (სჯოზს - მეშეჯიქი).

აღუქირანი და **აღქირანი** ფონეტიკური ვარიანტებია, განცალკევებით დგას **მეშეჯიქი**.

აღუქირანი/აკქირანი დაიშლება: **აღუქირა-ნ**’ი//**აკქირა-ნ**’ი.

აღუქირა/აკქირა ცუდად მოღწეული ან ჩაწერილი რომელიღაც საკუთარი სახელის ან მეტსახელის ვარიანტებია.

აღვნიშნავთ, რომ სვანეთში ჩაუწერიათ საკუთარი სახელი **აკირი** (ლლონტი 1986). ხომ არაა **აკქირი** ცუდად ჩაწერილი/წარმოთქმული **აკირი**?

აღუქირა-ნ'ი//აკქირა-ნ'ის წარმოება გვაფიქრებინებს, რომ გეოგრაფიული სახელი ქართულია.

ბაშვირანი, ახლა ბაშიორენი.

ბაშვირანი სეგმენტირდება: ბაშვირა-ნ'ი.

ქართულ ანთროპონიმიაში დასტურდება ბაშირა, ბაშკირ', ბაშარა მამაკაცის სახელები თუ მეტსახელები (ღლონტი 1986). ბაშვირანიც ამავე რიგისაა.

ბაშვირანი ბაშვირას სახლეულია.

ბაშვირანი ბაშვირას სახლეულის კუთვნილის აღმნიშვნელად უქცევიათ.

ბაშვირანი ქართული გეოგრაფიული სახელია.

თოდავირანი//თოთავირანი დაიყოფა: თოდავირა-ნ'ი//თოთავირა-ნ'ი.

თოთა, თოთია, თოთიკა საკუთარი სახელებია ქართულ კულტურაში (ღლონტი 1986). თოდავირა (<*თოთავირა) იქნებ მეტსახელია კაცისა.

თოდავირას//თოთავირას ჩამომავლობა, სახლეული იქნება - თოდავირანი//თოთავირანი. სახლეულის კუთვნილ მამულსაც იგივე სახელი ეწოდა. ანალოგიური ფაქტები დასტურდება ქართულ სინამდვილეში.

თუ ასეა, თოდავირანი//თოთავირანი ქართული გეოგრაფიული სახელია.

ჩვენ უფრო მეორე მოსაზრებას ვემხრობით.

თორთანი, ახლა უზუნარკი.

თორთანი დაიყოფა: თორთა-ნ'ი (შდრ.: თორთანები).

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება მეტსახელი თორთლა (ღლონტი 1986), დაცულია გვარში თორთლაძე.

თორთა<*თორთლა'საგან ლ'ს დაკარგვით (გამარტივდა რთლ' თანხმოვანთკომპლექსი - ავტ.).

თორთანი თორთას ჩამომავლობაა, იმავე სახელწოდებას ატარებს მამული თუ უბანი სოფელში.

თორთანი ქართული ტოპონიმია.

კარაჯავირანი სეგმენტირდება: კარაჯავირა-ნ'ი.

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება საკუთარი სახელი კარაჯა (ღლონტი 1986). კარაჯავირა მეტსახელი შეიძლება იყოს. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ტოპონიმი არასწორად უკარნახა ინფორმატორმა ჩამწერს.

კარაჯავირანი კარაჯას კუთვნილი უნდა იყოს.

კარაჯავირანი ქართული გეოგრაფიული სახელი ჩანს.

კიზილვირანი, ახლა კიზილიორენი.

კიზილვირანი სეგმენტირდება: კიზილვირა-ნ'ი.

კიზილვირა' მეტსახელი უნდა იყოს.

კიზილვირანი კიზილვირას სახლეული//ჩამომავლობა. იმავე სახელით აღნიშნება მათი კუთვნილი სოფელში.

კიზილვირანი წარმოებით ქართული გეოგრაფიული სახელია.

ხორასანი, ახლა ჰორასანი.

ხორასან'თან ერთად ისმის ფასინი'ც.

ხორასანი და ფასინი ორივე ძველი სახელია, ვფიქრობთ, ქართული/ქართველური.

ხორასანი სეგმენტირდება: ხორა-სან'ი.

-სან მაწარმოებელიანი სახელები გვხვდება აჭარაშიც: ვარდოსანი, კირილესანი... (შდრ.: ვარდოს ჩამომავლობა, კირილეს ჩამომავლობა...) (ქამადაძე 1999:38).

ხორა' საკუთარი სახელი ჩანს, დაუცავს გვარს **ხორავა**.

ხორა დადასტურებულია ხევსურეთში, ჯუთაში (დლონტი 1986).

ხორასან' **ხორას** ჩამომავლებს ნიშნავს, **ხორას** სახლელულს.

ფასინი დაიყოფა: **ფასი-ნ'**.

ფასი იგივე სახელური ფუძეა, რაც **ფასიან'**ში.

ფასინი (შდრ.: ფასები) **ფასის** ჩამომავლების სამკვიდროა.

არდოსტი, ახლა **დეღირმენლერი**.

არდოსტი ძველი სახელიაო, გვეუბნებიან, მისი ვარიანტია **არდოსი**.

ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **არდოსი**.

არდოსი სეგმენტირდება: **არდო-[ი]ს'**.

ქართულ ანთროპონიმიში დასტურდება მამაკაცის სახელები: **არდი**, **არდიანი**, **არდიკო**, **არდოხი**, **არდუხი** (დლონტი 1986). იგივე **არდ'** ძირი ჩანს **არდო**ში.

არდო **არდი**'ს მოფერებითი ფორმაა.

არდო ქართული ტოპონიმია.

კალბულასი, ახლა **იეშლიოზი** (სჯოზს იეშლიოზი).

კალბულას' ფონეტიკური ვარიანტია **გალბულასი** (სიტყვის თავში გ:კ ხშულთა მონაცვლეობით მიღებული).

კალბულას'ი//**გალბულას'**ი სეგმენტირდება: **კალბულა-[ი]ს'**ი//**გალბულა-[ი]ს'**ი.

ტოპონიმი -ის სუფიქსითაა ნაწარმოები.

კალბულა//**გალბულა** მეტსახელი უნდა იყოს. შდრ.: **კალგუცა**//**გალგუცა**.

კალბულა//**გალბულა** ქართულია.

ტალუნსი, ახლა **კარატაშლარი** (შდრ.: **კარატაშები**, ჩანს სახლის სახელია).

ტალუნსთან ერთად ძველ სახელად ასახელებენ **ტავონის'**ს და **ტავონც'**ს.

ტალუნს' და **ტავონც'** სომხურად ჟღერს.

ამოსავალი ჩანს **ტავონისი** (<***თავონისი**). **ტალუნს'** და **ტავონც'** ტოპონიმზე ზეწოლის (ტოპონიმის სხვადქცევის) შედეგია.

ტავონისი (<***თავონისი**) სეგმენტირდება: **ტავონ-ის'**ი (<***თავონ-ის'**ი).

თავონ<***თავან**//**თავამ**'ისაგან. **თავამა'** მეტსახელი ჩანს, შენახულია გვარში **თავამაიშვილი**.

დასაშვებია, **თავანა**//**თავნა** იყოს მეტსახელი.

აღვნიშნავთ, რომ სვანეთში დადასტურებულია ანთროპონიმი **ტავა** (დლონტი 1986).

ტავონისი (<***თავონისი**), **ტავანისი** (//**თავანისი**) ქართული გეოგრაფიული სახელია.

ხოზევანისი, ახლა **აკჩამი** (სჯოზს აქჩამი).

ხოზევანისი დაიყოფა: **ხოზ-ევან-ის'**ი. ორმაგი წარმოების სახელია.

-**ევან** (**ოვან/ობან/ვან**) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ბევრია ქართულ ტოპონიმიში (ვაშლოვანი, სხლობანი...), ამავე რიგისაა **ხოზევანიც**.

-ის გავრცელებული მაწარმოებელია ქართულ ტოპონიმებში, დასტურდება სპერშიც.

რაც შეეხება **ხოზო**' სახელურ ფუძეს.

ხოზო - რბილი ხორბალი, უფხო და ყინტორა (მაცაშვილი 1991).

ხოზევანი (<***ხოზოევანი**) ადგილია, სადაც **ხოზო** ითესება/ითესებოდა.

ხოზოევანი (>**ხოზევანი**>**ხოზრევანი**, ამ უკანასკნელში რ' განვითარებულია) ანთროპონიმიდან ქცეულა, დაუცავს გვარს **ხოზრევანიძე** (მაისურაძე 1990).

ანთროპონიმი **ხოზ[რ]ევანი** დაუცავს ტოპონიმსაც - **ხოზევანისი**.

ხოზევანისი **ხოზევანის** კუთვნილია.

ხოზევანისი ქართული გეოგრაფიული სახელია.

კარაველეთი, ახლა კარაველეთი.

კარაველეთის ფონეტიკური ვარიანტია კარაველეთი. ამოსავალი ფორმა ჩანს პირველი.

კარაველეთი სეგმენტირდება: კარავ-ელ-ეთ'ი.

-ეთ ცნობილი სუფიქსია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში. -ეთ სუფიქსიანი წარმოება ფართოდაა გავრცელებული ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაში.

საძიებელია კარაველ' ფუძის მნიშვნელობა.

ძველ ქართულში იხმარება კარავი, ნიშნავს - ტალავერი (აბულაძე 1973).

კარაველ'ი წარმომავლობის სახელია. ჩანს, კარავი ადგილის სახელიცაა.

კარაველი მეტსახელია კაცისა (შდრ.: იშხნელი, მთაწმინდელი...).

აღვნიშნავთ, რომ ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება -ელ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები საკუთარ სახელად: კარახელი, კანთელი, კარბელა... (ღლონტი 1986).

კარაველიც მათ რიგში ჩადგება.

კარაველეთი კარაველის კუთვნილია.

კარაველეთი ქართული ტოპონიმია.

სალქორი, ახლა ჰორასანის რაიონი.

სალქორის გვერდით ისმის სერქური.

ყურადღებას მივაქცევთ სახელს სერქური.

სერქური სეგმენტირდება: სერქ-ურ'ი.

-ურ მაწარმოებლიანი სახელები მრავალია ქართულ ტოპონიმიაში. საინტერესოა სერქ' სახელური ფუძის მნიშვნელობა.

„ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება სახელი სერუქ (ქ.ცხ. I, 1955:372). იგი იშვიათია ქართულ ანთროპონიმიაში. გვხვდება სახელები სერგი, სერგე. დასაშვებია, სერგ>სერქ გ:ქ მონაცვლეობით. სერქ კიდევ დაუკავშირდება „ქართლის ცხოვრების“ სერუქ'ს (სერუქურ'ი >სერქური, ფუძიდან ამოვარდება უ).

დაკვირვების ობიექტია ასევე სალქორი.

სალქორი სეგმენტირდება: სალ-ქორი.

სალ<*სახლ'ისაგან.

ქორი კიდევ სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება სამხრულ კილოებში:

აჭარულში ქორი სახლის ზედა სართულია, საკუჭნაო (ფაღავა, მგელაძე 2012:191).

შავშეთში ქორი საბძელია: „ქორებ ავაგსებთ თივით“ (ფაღავა და სხვ. 2022:603).

ტაოში ქორი შემოდობილი ადგილია ბოსელში წვრილფეხა საქონლისათვის: „სახლის ძირშია ბოსელი და ქორი. ქორში ცხვრები და თხები შეიყრება“ (ხევკი) (ფაღავა და სხვ. 2024:494).

სამხრულ მეტყველებაში ქორი სახლის ნაწილია ან საკარმიდამოში ცალკე მდგარი შენობა.

სალქორი<*სახ[ის]ქორია სახეცვლილი.

ჩანს, ქორი იცოდნენ სპერშიც, მისი ხსოვნა ტოპონიმმა შეინახა.

სალქორი და სერქური ქართული ტოპონიმებია.

ფლური, ახლა სუნაკი.

ფლურ'ის გვერდი ისმის ფულური'ც.

ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ფლური (<*ფრური).

ფლური სადაფის ღილია (ფუტკარაძე 1993:595), ზოგადად ღილსაც ეძახიან.

დასაშვებია სხვა ვარაუდიც: ფულური//ფლური სეგმენტირდება: ფლ-ურ'ი//ფულ-ურ'ი.

-ურ სუფიქსით ნაწარმოები სახელია, ფლ//ფულ - ძირი.

დასტურდება ანთროპონიმი **ფულია**, **ფულური**//**ფლური** მის ჩამომავალს უნდა ნიშნავდეს.

ფულური//**ფლური** ქართული გეოგრაფიული სახელია.

არდი, ახლა **არდი**.

აღვნიშნავთ, რომ **არდი** მეგრულში მცენარეა (ქობალია 2010), იგივეა, რაც *цикорий салатный, энгувий, cichorium indivia L.* (მაყაშვილი 1991).

არდი შეიძლება დაუკავშირდეს სვანურ **ჰარდელ**, **ჰარდლი** (ერთგვარი მხალია, გრძელფეროიანი, მომჟავო) (ჩანტლაძე, ნაკანი 2014).

არდი ანთროპონიმიცაა (ღლონტი 1986).

ჩანს, ანთროპონიმი თუ მცენარის სახელი **არდი** იქცა ტოპონიმად.

არდი ქართული//ქართველური გეოგრაფიული სახელია.

ახალიქი (ულია, სუფლა), ახლა **მუქარიზადემიოზუ**, აშალი **ზადემიოზუ**.

ახალიქი<**ახალიკი**<**ახალაკი** იქნებ გამოიყოს ანთროპონიმი **ახალა** (ახალაკი - მისი კნინობით-ალერსობითი ფორმა), რომელიც გავრცელებულია ქართულ კულტურაში: **ახალა** (მატიანე 1977: 224; 392), **ახალური** (მატიანე 1977:188), **ახალო** (ღლონტი 1986).

ახალა დაუცავს გვარებს: **ახალაძე**, **ახალაია**.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, **ახალიქი**<**ახალიკი**<**ახალაკი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

ემრეკომი, ახლა **ემრე**.

ემრეკომის ვარიანტია **ამრაკომ**ი.

ემრეკომ//**ამრაკომ**ი<**ემრეკომუ**//**ამრაკომუ**.

ემრეკომუ//**ამრაკომუ**ში გამოიყოფა **კომუ** (ხალხი) ფუძე.

ემრე//**ამრა** ანთროპონიმებია.

ემრეკომუ//**ამრაკომუ** **ემრეს**//**ამრას** ხალხს, სახლელს ნიშნავს.

აღვნიშნავთ, რომ ახალ დროში ახალმა სახელმდებელმა გეოგრაფიულ პუნქტს **ემრე** უწოდა. ჩანს, მან **ემრეკომში** მამაკაცის სახელი - **ემრე** „დაინახა“.

სანსორი, ახლა **ტაშლიგუნე**.

სანსორთან ერთად **სანასორ**საც ამბობენ.

სანსორი და **სანასორ**ი ფონეტიკური ვარიანტებია.

სანსორი (სანასორი) დაიყოფა: **სან** (/სანა) - **სორი**.

სორ//**მორ** სომხურია, ნიშნავს **ხევს**.

ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება სახელები: **სანალი**, **სანანო**, **სანასარი**, **სანასარა** (ღლონტი 1986).

ტოპონიმისეული **სან**//**სანა** ანთროპონიმი უნდა იყოს, იგივე, ქართულ კულტურაში (**სანალი**, **სანანო**, **სანასარი**, **სანასარა**) რომ გვხვდება.

სანსორი **სანას** ხევია.

სანსორი ქართული ტოპონიმია.

ფისიკლი, ახლა **დუათეფე**.

ფისიკლი დაიყოფა: **ფისიკ**-**ლი**.

ფისიკლიში (შდრ.: ქართული ფისიკები) **ფისიკ** ანთროპონიმი უნდა იყოს.

აღვნიშნავთ, რომ „ტბეთის სულთა მატიანეში“ **ფისა** საკუთარი სახელია (მატიანე 1977:41).

ქართველურ ანთროპონიმიაში გვხვდება **ფასია**, **ფასიონა**, **ფასუა**, **ფასუკი** (ღლონტი 1986). ამათ გვერდით დადგება **ფისიკი**ც.

ფისიკლი ქართული **ფისიკების** თარგმანი გვგონია, ანდაც მისი ანალოგიით შექმნილი სახელი, აღნიშნავს ადგილს, სადაც ფისიკის სახლეული ან შთამომავლები ცხოვრობენ.

ვცადეთ ბასიანის (სპერის) ტოპონიმთა ერთი ჯგუფის, ანთროპოტოპონიმების სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი. გამოვლინდა, რომ ბასიანის ტოპონიმია სტრუქტურულად იმეორებს მეზობელი ისტორიული ქართული რეგიონების სიტყვაწარმოების მოდელს. ეს არც იყო მოულოდნელი, რამდენადაც სპერი ისტორიული ქართული პროვინციაა და ტოპონიმი კიდევ ხანგრძლივად ინარჩუნებს ფორმას, ხშირად შესაბამისი ანალიზით შესაძლებელი ხდება სიტყვის ამოსავალი ფორმის აღდგენა. ჩვენი საბოლოო მიზანია, გამოვავლინოთ ქართული ფენა ბასიანის ტოპონიმიაში, შესაბამისად ქართული კვალი ბასიანის მიწაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს „ქვეყნის“ ასიმილაცია, გასაგები გახდება, რამდენად რთულია ქართველი კაცის გაფერმკრთალებული, თითქმის წაშლილი ნაკვალევის ძიება სპერის მიწაზე. ვითვალისწინებთ, რომ მიწა ყველაზე გვიან „ივიწყებს“ წარსულს, პირიქით, ინახავს მას...

ვითვალისწინებთ, რომ სპერის მიწა ისტორიულად კულტურათა დიალოგის ასპარეზი იყო: აქ ერთმანეთს ხვდებოდა ქართული (ქართველური), ბერძნული, სომხური, მოგვიანებით - ოსმალური (თურქული) კულტურები, ყველამ თავისი კვალი დატოვა სპერის მიწაზე. სპერის ტოპონიმის გამოწვლილვით შესწავლა (ეთნოგრაფიასთან, მატერიალური კულტურის ძეგლებთან, ფოლკლორთან, ისტორიასთან ერთად) საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, დასახელებულთაგან რომელი ხალხის კულტურაა პირველადი სპერის მიწაზე და რომელი მეორეული. ამიტომაც თითოეული გეოგრაფიული სახელის ჩაწერას და სწორ ანალიზს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ გეოგრაფიულ სახელზე ხშირად ხორციელდება „ზეწოლა“ სხვადაქცევის მიზნით. ზოგჯერ ერთი ბერძნული შეცვლაა საკმარისი, რომ გეოგრაფიულმა სახელმა ფორმა იცვალოს, სხვა ენის კუთვნილებად იქცეს, მაგალითისთვის მოვიყვანთ: ბედრევანქი//ბედრევანსი//ბედრევანცი, ამოსავალი ფორმაა **ბედრევანი**, წინა სამი ძალადობის შედეგი.

დაბოლოს, ჩვენთვის საინტერესო ყოველი ტოპონიმის ანალიზის შემდეგ ვაცხადებთ, რომ იგი ქართული გეოგრაფიული სახელია. განცხადებას აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც სხვა ჩემულობს ისტორიულ ქართულ მიწას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.
ბასიანი 2024 – ბასიანი, კულტურის ძეგლების კატალოგი, მოამზადეს: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. არონიშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოდუაშვილმა, დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე), თბილისი.

მაისურაძე 1954 - ილია მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან, ბპი შრომები, IV, ბათუმი.

მაისურაძე 1990 - ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბილისი.

მატიანე 1977 - ტბეთის სულთა მატიანე, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი.

მაყაშვილი 1991 – ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ტაო 2020 – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, ტაო, თბილისი.

ფაღავა 2003 - მამია ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, ბათუმი.

ფაღავა 2009 - მამია ფაღავა, -უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა, ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

ფაღავა 2014 - მამია ფაღავა, კარ' ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ფაღავა 2017 - მამია ფაღავა, „ევ კილოს“ კვალი სამხრეთ საქართველოში, კლარჯული ჩანაწერები, თბილისი.

ფაღავა, მგელაძე 2012 - მამია ფაღავა, ნუგზარ მგელაძე, ქორი (სახლი, ოხორი) მნიშვნელობისათვის ჭოროხის ხეობის ქართულ მოსახლეობაში, II საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი-ბათუმი.

ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2023 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის კარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბილისი.

ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2022 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბილისი.

ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2024 - მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბილისი.

ფუტკარაძე 1993 - შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

ქ.ცხ. I, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ქამადაძე 1999 - მიხეილ ქამადაძე, აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი.

ქობალია 2010 - ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი 1986 - ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

ჩანტლაძე, ნაკანი 2014 - იზა ჩანტლაძე, ნინო ნაკანი, სვანეთის ფლორა, I, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961 - ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ცინცაძე, ფაღავა 1998 - მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი.